ბრძანება № 1-72

გორი 23 09 2021წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მისაღები გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის" მე-5 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (23.09.2021. N967989) და განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (22.09.2021. N962546) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მისაღები გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო და სააპელაციო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

საგამოცდო კომისია:

ა) შერაზადიშვილი მარიკა, პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ჭამპურიძე ნელი, პროფესორი - კომისიის წევრი;
გ) ცერცვაძე მარინე, პროფესორი - კომისიის წევრი;

სააპელაციო კომისია:

ა) ზანგალაძე მზია, პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ბარბაქაძე ქეთევან, ასოც. პროფესორი - კომისიის წევრი;
გ) კობერიძე მარიამ, პროფესორი - კომისიის წევრი.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი